ოთხშაბათი

გამოცხ 7,2–4.9–14; ფს 23; 1იო 3,1–3; მთ 5,1–12

ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან მთ 5,7

როგორ უნდა ვუსმინოთ ნეტარებებს? ისინი გამოკვეთენ იესოს პიროვნების სხვადასხვა მხარეებს! იგია *ღატაკი სულითა*, იგია *გულით სუფთა*, იგია *გულმოწყალე*. ვინც მას ბაძავს, *ნეტარია*, მიუღწევია ადამიანის ნამდვილი სიმაღლისათვის. მას ბაძავდნენ წმიდანნი, მას ვბაძავთ ჩვენც: გვექნება, ისევე როგორც წარსულში გვქონია, მოწყალე გული ღატაკთათვის, ტანჯულთათვის, დაუცველთათვის. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვიზამთ ამას: თავად ღმერთს ექნება ჩვენსკენ მოქცეული გული.

2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე
მიცვალებულისა, [ს], ი

2017 ხუთშაბათი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს41; გამოცხ21,1-5.6-7; მთ5,1-12

აჭა, ვქმნი ყოველივეს ახალს გამოცხ 21,6

იესო მოვიდა პირველ რიგში ადამიანთა ცხოვრების გასაახლებლად. *'ახალი'* ნიშნავს იმას, რაც ადრე არ ყოფილა, მის გარეშე არ იქნებოდა, რომელსაც ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ, ანუ, უნდა დავემოწაფოთ მის შესათვისებლად! ყოველივეს დავაკვირდებით ახლებური მზერით; ახლებურად დავინახავთ იმათაც ვინც ცოცხლობენ და კვდებიან, დღეს განსაკუთრებით მიცვალებულებს: აი, ისინი მამის ხელთ არიან, რის გამოც ჩვენი გლოვა სიმშვიდეს იძენს. ჩვენც, სიკვდილისას დაგვიჭერს იგი, ვისაც მუდამ ვუწოდებდით მამაო ჩვენოს!

3 ნოემბერი

2017

რიგითი XXX კვირა [II], ი

საქართველოს ყველა გარდაცვლილ
სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ)
წმ. მარტინ პორესელი, ბერი, +1639

პარასკევი

რომ 9,1-5; ფს 147; ლკ 14,1-6 (ან, მიცვალებულთა წირვის საკითხავები)

შეეხო მას, განკურნა და გაუშვა ლკ 14,4

იესოს თანამლმობი გული მუდამ ფხიზლადაა. ის უბიძგებს მას შაბათ დღესაც: უწყის, რომ ეს ასეა მისი მამისათვისაც. ტანჯულის მიმართ თანალმობა ყველა სხვა წესზე უფრო მნიშვნელოვანი წესია, მეტიც, ისაა ყველა წესის საფუძველი. იესო, მეც მომანიჭე მუდამ მქონდეს შენს მსგავსად გახელილი თვალები ძმათა სატანჯველის დასანახად!

4 ნოემბერი

რიგითი XXX კვირა [II], თ

წმ. კარლო ბორომეო, ეპ., +1584, (მ)

2017 შაბათი

რომ 11,1-2.11-12.25-29; ფს 93; ლკ 14,1.7-11

ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება ფილიპ 3,3

დამდაბლებული ყოფნა არაა ლამაზი, თავის დამდაბლება კი არის. ვინც თავს დაიმდაბლებს, თავის ადგილას დგა და მისი შეყვარება ყველას შეუძლია, პირველ რიგში ღმერთს! ვინა ვარ მე, თუ არა უძლური და მყიფე მატლი? თუკი ის თავის ადგილასაა მიწის ქვეშ, მას ვერავინ ავნებს. თუკი გამოვა თავისი გარემოდან, ნებისმიერი გაჭყლიტავს მას ისე, რომ ვერც კი მიხვდება.

5 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირადღე, «ა», [III], მწ

2017 ვირა

მალ 1,14 – 2,2.8-10; ფს 130; 1თეს 2,7-9.13; მთ 23,1-12

თქვენ ყველანი მმები ხართ მთ 23,8

რაში გვარგია საპატიო ტიტულები? იესო კარგი თვალით არ უყურებს მათ. ემსახურება საკუთარ პატივმოყვარეობას, თვალთამქცების იარაღია, ადამიანებს აშორებს ერთმანეთს. ჩვენა ვართ ის, რაცა ვართ ღმერთის წინაშე, მცირენი და ერთურთის მსახურნი. ყველაზე მშვენიერი ტიტულებია დამაახლოვებელი ტიტულები, როგორც მაგალითად „ძმა“. თუმცა ის ხომ ტიტულიც არაა, ის რეალობაა!

ორშაბათი

რომ 11,29-36; ფს 68; ლკ 14,12-14

მისგან, მისით და მისთვისაა ყოველივე რომ 11,36

წმიდა პავლე ამგვარად ასრულებს ერთ-ერთ თავის დოქსოლოგიას, ღვთისადმი დიდებისმეტყველებას. ყოველთვის, როდესაც ვიფიქრებთ მასზე, არ შეგვიძლია არ შევნატროთ მას, ვაქოთ და მადლი შევწიროთ მის სიბრძნეს და იმ სიყვარულის სიღრმესა და მშვენიერებას, რომლითაც იგი გვიყურებს და გვიცავს და გვამდიდრებს.

7 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

2017 სამშაბათი

რომ 12,5-16; ფს 130; ლკ 14,15-24

იხარეთ იმედში *რომ 12,12*

იესო გვეპატიჟება საქორწილო ნადიმზე, ანუ, ღმერთის დიდი სიყვარულის სიხარულზე. მოციქულს სხვა არა შეუძლია რა, თუ არა იმავე მოპატიჟების გამეორება. ჯერ მოგვიხმო შეგვეყვარა ერთურთი, სიყვარულში ერთმანეთთან შეჯიბრებით, ახლა კი გვიწვევს გავიხაროთ: ვისაც უყვარს, ის სწმედს ცრემლებს არამხოლოდ სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც.

8 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III], თ

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი, (მ)

2017

ოთხშაბათი

რომ 13,8-10; ფს 111; ლკ 14,25-33

მ. შიო ბათმანიშვილისა (+1937) და
მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?) გახსენება

რეჯულის სისავსე სიყვარულია

რომ 13,10

მცნებები გვეხმარება ხორცი შევასხათ სიყვარულის, ქმედითი სიყვარულის სხვადასხვა ასპექტებს. გახსოვს ზეპირად ათი მცნება? წმიდა პავლე შეგვახსენებს ზოგიერთ მათგანს. კვლავაც გაიმეორე ისინი, ყოველ დღიურად; გაიმეორე ისინი შენს შვილებთან ერთად, რომ არ დაავიწყდეთ: ერთიც რომ დაავიწყდეთ შენი იმედები დაიკლებს მათში. და შენ რომ დაგავიწყდეს, რა იმედს მოგცემენ ისინი შენ?

9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

2017

ხუთშაბათი

ეზეკ 47,1-2.8-9.12 (ან, 1კორ 3,9c-11.16-17); ფს 45; იო 2,13-22

მამაჩემის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად

იო 2,16

იესოსთან ერთადა ვართ ტაძარში. იგი ვერ იტანს თვალთმაქცობას. აქ ადამიანები ღმერთს ეთაყვანებიან, მაგრამ მათი სული და გული ფულისკენაა. იგი ამას იძახის პირველ რიგში არა სიტყვებით, არამედ კონკრეტული ჟესტით: აძევებს მოვაჭრეებს! გააძევე მოვაჭერობა შენი გულიდანაც: ღმერთთან კონტრაქტები როდი იდება! გინდა რაიმე მისცე, თუნდაც მცირედი, იმისათვის რომ მისი გული მოიგო? ცდები: ღმერთი არ დაგყვება. მას უკვე უყვარხარ: ამისათვის მადლი შესწირე მას და მიუძღვენი ყოველივე!

10 ნოემბერი

2017

რიგითი XXXI კვირა [III] თ

წმ. ლეონ დიდი, პაპი და მოძ., +461 (მ)
(28.X) წმ. მღვ. მოწ. ნეოფიტე ურბნელი, VIIს.

პარასკევი

რომ 15,14-21; ფს 97; ლკ 16,1-8

რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა? ლკ 16,5

ყველანი მოვალენი ვართ, ხოლო ღმერთთან, ჩვენი კეთილი განზრახვების მიუხედავად, უსინდისონიც. შეგვიძლია მივმართოთ ეშმაკობას. რომელს? ღარიბებს დავურიგოთ, რათა მათ შეგვაქონ ღმერთის წინაშე და ამგვარად მივიღოთ მისგან საზღაური.

11 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] თ

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ., +397, (მ)
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, IX ს.

2017 შაბათი

რომ 16,3-9.16.22-27; ფს 144; ლკ 16,9-15

მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით რომ 16,16

მორწმუნეთა მისალმება *„წმიდა ამბორია“*: ამბორი, რომელიც იბადება ღვთის სიყვარულიდან და გრძელდება მისივე სიყვარულით. ამგვარად შევძლებთ ვეამბოროთ ასევე ცოდვილს, და მაშინაც, როცა თავად ვართ ცოდვილნი. ეს ამბორი არაა დამოკიდებული არც ჩემ, არც შენს საფულეზე. ამას იესოც შეგვახსენებს!

12 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირადღე, «ა», [IV], მწ

2017 ვირა

სიბრძ 6,12-16; ფს 62; 1თეს 4,13-18; მთ 25,1-13

ხოლო მან მიუგო და უთხრა: 'ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გიცნობთ!' მთ 25,12

განა შესაძლოა იესოს კეთილი გულიდან მოვისმინოთ სიტყვა რომელიც აძევებს? როგორ? ვისთვისაა ეს ნათქვამი? იმათთვის, ვინც მის გარეშე ცხოვრობენ, რომლებიც მთელი გულით არ უდგებიან მას, მისგან მოელიან პრივილეგიებს, და თავიანთი დროის ერთ საათსაც კი არ უთმობენ, არაფერს აკეთებენ მის შესახვედრად. სინამდვილეში მათ საკუთარი თავი თვითონ გამორიცხეს.

ორშაბათი

სიბრძ 1,1-7; ფს 138; ლკ 17,1-6

თუფლის სული ავსებს სამყაროს,
და იცის ყოველი ჩქამი სიბრ 1,7

ეს სიტყვა ახლავს იესოს მოძღვრებას მიტევებისა და დაბრკოლების შესახებ. ღვთის შვილი ღვთის სმენაშია და სერიოზულად ღებულობს მის რჩევებს, წინააღმდეგ შემთხვევაში აბრკოლებს, ანუ მცდარ გზას უჩვენებს სხვებს. და პატარები, რომლებსაც ჯერაც არ ძალუძთ დამოუკიდებლად გარჩევა, და-ღუპვისკენ მიექანებიან.

სამშაბათი

სიბრძ 2,23 – 3,9; ფს 33; ლკ 17,7-10

მართალთა სულები ღვთის ხელთ არიან სიბრძ 3,1

ვინ არიან მართლები? სიბრძნეთა წიგნი გვეუბნება ამას: ისინი არიან, ვინც ღმერთმა გამოსცადა და მათ გაიარეს გამოცდა. ამისათვის ღმერთმაც მოიწონა ისინი. ისინი კვლავაც მას ეყრდნობიან. მართალი ის კი არ არის, ვინც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სამსახურსა და დანაზოგებს, არამედ ვინც აქცია თავისი ცხოვრება მამის სიბრძნის გამოხატვის შესაძლებლობად. გინახავს ვინმე ასეთი? მაშ, ღმერთის ხელები გინახავს.

15 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

წმ. ალბერტ დიდი, ეპ. და მოძ., +1280

2017 ოთხშაბათი

სიბრძ 6,1-11; ფს 81; ლკ 17,11-19

მან შექმნა დიდიც და პატარაც
და ერთია მისი ზრახვა ყველასთვის სიბრძ 6,7

ღმერთის მზერა მიკერძოებული როდია. იგი ყველას ერთნაირი სიყვარულით უყურებს, თუმცა მცირეებს იცავს, ამპარტავანს კი ჰკიცხავს, შესაძლოა დასაჯოს კიდეც. სიყვარულს ურჩევნია დაა-ჯილდოვოს, მაგრამ შეუსწორებს ხოლმე იმათ, ვინც გზას ასცდენია, რათა მანაც შეძლოს ღვთის შვილთა სიმაღლემდე მიღწევა. ჩვენ მადლობის თქმაღა დაგვრჩენია, სამარიელი კეთროვანის მსგავსად.

16 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093;
წმ. გერტრუდა, ქალწ., +1302

2017 ხუთშაბათი

სიბრძ 7,22 – 8,1; ფს 118; ლკ 17,20–25

ყოველივეს განაახლებს და განამზადებს ღვთის მოყვრებად და წინასწარმეტყველებად სიბრძ 7,27

ღვთის სიბრძნეა ამის მოქმედი. ღვთისაა და მისგან მოდის, რათა გაამდიდროს ის ადამიანი, ვინც მიიღებს მას. და მისი მიმღები აღარაა უწინდებური: ის თანდათანობით იქცევა *ღვთის მეგობრად* და თვით *წინასწარმეტყველადაც*. შეუძლია მივიდეს სიბრძნის მფლობელთან და ჰკითხოს რჩევა, და არ შეეშინდება მოტყუებისა. სიბრძნის უქონელს ნუ მიადგები, ფრთხილად იყავი!

17 ნოემბერი

2017

რიგითი XXXII კვირა [IV] თ

წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ., +1231, (მ)

(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია

პარასკევი

სიბრძ 13,1–9; ფს 18; ლკ 17,26–37

ვინც ეცდება თავისი სიცოცხლის გადარჩენას, დაღუპავს მას ლკ 17,33

საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა, აი, ცდუნება, რომელსაც სძლია იესომ ჯერ უდაბნოში, ხოლო შემდგომ ჯვარზე, როდესაც ეუბნებოდნენ: *„იხსენი თავი შენი“*. როცა ვცდილობთ ხოლმე საკუთარი თავის ხსნას, ამას ჩვენი გზებითა და ჩვენი ამბიციებით ვაკეთებთ: თავკერძობის მრავალ ფორმას მივმართავთ და ვამრავლებთ საკუთარ ცოდვას.

18 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა
ბაზილიკათა კურთხევა

2017 შაბათი

სიბრძ 18,14-16;19,6-9; ფს 104; ლკ 18,1-8

**მე კაცისა, როდესაც მოვა,
ჰოვებს კი რწმენას დედამიწაზე?** ლკ 19,8

ამ კითხვას ჩვენ ვერ ვუპასუხებთ. მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია: იესო, მწადია, რომ ცოცხლად პოვო შენდამი რწმენა ჩემში! ძალღონეს არ დავიშურებ, რომ გავძლიერდე მასში და შენი სიტყვისადმი ერთგულებაში. რწმენა იქნება ჩემი სიყვარულის საფუძველიც, ხოლო სპეტაკი და უანგარო სიყვარული აღძრავს რწმენას მრავალ სხვაში, რომლებსაც შენ დაიხსნი.

19 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირადღე, «ა», [I], მწ

2017 ვირა

იგავ 31,10-13.19-20.30-31; ფს 127; 1თეს 5,1-6; მთ 25,14-30

უპოვართა მსოფლიო დღე

მცირედზე ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ მთ 25,23

რა იყო ის მცირედი, რაშიც აღმოჩნდა ერთგული ის მსახური? მცირედია ის ნიჭი, რაც ჩააბარეს მას, მატერიალური სიმდიდრე, წუთისოფლის საგნები. მას, ვინც ამეებშია ერთგული, შეიძლება ანდო სულიერი სიკეთეებიც, გასავრცელებელი ღვთის სიტყვა, საიდუმლონი, რომლითაც უნდა იცხოვრო ღვთის სიყვარულის გასაცხადებლად, ქრისტიანული საკრებულო, რომელსაც უნდა ემსახურო და დაეხმარო ზრდაში.

ორშაბათი

1მაკ 1,10-15.41-43.54-57.62-64; ფს 118; ლკ 18,35-43

რა ვინდა რომ გაგიკეთო? ლკ 18,41

ხმამაღლა იყვირა ბრმამ, ისე რომ მრავალს შეუშალა ხელი. მისი სიბრმავე და მოწყალების თხოვნა იყო, რომ უშლიდა მათ ხელს, და ასევე რწმენა, რომელსაც ასე ხმამაღლა ყვიროდა იმ გარემოში, სადაც ჰეროდეს მრავალი ეჭვებით სავსე ყური ჰქონდა გამობმული. იესო არ დარდობს: სურს შეხვდეს იმ კაცს და სურს კვლავ ალაპარაკოს. მისი რწმენა მრავალმა უნდა მოისმინოს, მის მრავალ განზომილებაში, თუნდაც რაიმე საფრთხის ქვეშ.

21 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], თ

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ)

2017 სამშაბათი

2მაკ 6,18-31; ფს 3; ლკ 19,1-10

ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე ლკ 19,5

არ უნდა რცხვენოდეს არც იმისა რომ ჩიაა, არც იმისა რომ ხეზეა ამძვრალი, არც იმისა რომ ცოდ-ვილია. ახლა იესოა მასთან: მას შემდეგ რაც იესოა მასთან, იგი სხვა ადამიანია. ასე დამემართა მეც, ასე დაგემართა შენც. იესო განგვაახლებს, გვცვლის, გვიხსნის. იგი ცვლის ჩვენი ცხოვრების მიზანს, როგორც ზაქეს შემთხვევაში მოხდა. მან დაიწყო ცხოვრება უკვე არა გამდიდრებისათვის, არამეს სიყვარულისათვის, ნამდვილი სიყვარულისათვის.

22 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], წ
წმ. ცეცილია, ქალწ. დაწამ., +~250, (მ)

2017 ოთხშაბათი

2მაკ 7,1.20-31; ფს 16; ლკ 19,11-28

ვისაც აქვს, მიეცემა; ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც აქვს ლკ 19,26

ვისაც აქვს რწმენა, ვისაც აქვს იმედი, ვისაც აქვს ქმედითი სიყვარული, მას მიეცემა, ღვთისაგან, გამბედაობა, სიხარული, ერთგულება, მშვიდობა, ნათელი, სიბრძნე, სულგრძელობა. ვინც არ ავითარებს და არ ამოქმედებს არც რწმენას, არც იმედსა და არც სიყვარულს, მას არაფერში გამოადგება ის სიმდიდრე რაც ჰგონია, რომ აქვს, და არც გონიერება და გამჭრიახობა, რითიც ტრაბახობს.

23 ნოემბერი

2017

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], წ

წმ. კლემენტ I, პ. და წამ., +101; წმ. კოლუმბან, აბ. +615;
(10.XI) წმ. დიდმოწ. კონსტანტი-კახი, +852

ხუთშაბათი

2მაკ 6,18–23 (ან, ფილიპ 1,20–30); ფს 33; მთ 10,28–33

გიორგობა. უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა

ვინც მაღიარებს კაცთა წინაშე მთ 10,32

ხშირად უმრავლესობის შიშის გამო ჩვენი რწმენის საჯაროდ აღსარება გვიჭირს ხოლმე. რა სასაცილო ფანდით გვძლევს მაცდური ასეთ შემთხვევებში! არადა რა შეედრება იმ სიხარულს, რომელიც წმიდა კათოლიკე ეკლესიისადმი ერთგულებიდან იღვრება?! სიკვდილი და აღდგომა ერთიანდება ამ დროს. კვდომის შიში და აღდგომის სიხარული მოწმობს სარწმუნოების ჭეშმარიტებას. წმიდა გიორგიმ სიცოცხლე შესწირა მაცხოვრის რწმენას. შევთხოვოთ დღეს მას, რომ არცერთმა ჩვენგანმა არ გადაცვალოს ეს რწმენა არაფერში.

24 ნოემბერი

2017

რიგითი XXXIII კვირა [I] წ

წმმ. ანდრია დუნგლაკი ხუც. და მეგ., ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIIIსს. (მ)

პარასკევი

1მაკ 4,36-37.52-59; საგ.: 1ნეშ 29,10-12; ლკ 19,45-48

ჩემი სახლი სამლოცველო სახლი იქნება ლკ 19,46

იესო ტაძარს უწოდებს *„ჩემ სახლს“*! მან უწყის, რომ ღვთის ძეა და რომ ძალაუფლება გააჩნია მის სახლში! ის უნდა იყოს მხოლოდ მამასთან შეხვედრის ადგილი, ანუ, *„ლოცვის“* ადგილი. ყოველი სხვა საქმიანობა, ყოველი ქმედება, რაც ღმერთთან შეხვედრა არაა, უადგილოა. ახლა მეცა ვარ ღვთის ტაძარი: რამდენი სიტყვა და რამდენი საქმეა ჩემში უადგილო! განმწმინდე, იესო!

25 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწ. და წამ., +III-IV სს

2017

შაბათი

1მაკ 6,1-13; ფს 9; ლკ 20,27-40

ღმერთი მკვდრებისა კი არა, ცოცხალთა ღმერთია ლკ 20,38

იესომ იცის წმიდა წერილების კითხვა და ბრწყინვალედ ისმისი ისინი. მას ძალუძს ჩემი გონების გახსნაც ღვთის სიტყვის გასაგებად. *აბრაამის ღმერთია*, ამგვარად იგი ამბობს, რომ აბრაამი, რომელიც საუკუნეების წინათ მოკვდა, ცოცხალია. იდუმალი სიცოცხლით, რა თქმა უნდა, მაგრამ რეალურით და იმაზე აღმატებულით, რისი წარმოდგენაც შემიძლია: *„ზეციური“* სიცოცხლით, იტყვის წმიდა პავლე, იმ სიცოცხლით, რომელიც მშურს წმიდანებში და რომელსაც მყარი იმედით მოველი!

26 ნოემბერი

2017

რიგ. ჟამის XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სამყაროს
მეფისა, «ა», დდ, [ს], თ

ᲙᲕᲘᲠᲐ

ეზეკ 34,11–12.15–17; ფს 22; 1კორ 15,20–26.28; მთ 25,31–46

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მის წინაშე შეიკრიბება ყველა ხალხი მთ 25,32

მრავალჯერ ჩაუვლია ამ სიტყვას ჩემთვის შედეგების გარეშე. ახლა შევჩერდები: იესოს წინაშე ყველა ხალხები? ყველანი მის მიერ განისჯებიან? ბუდისტებიც? ათეისტებიც? მუსულმანებიც? ინდუისტებიც? ყველანი! ყველას ერთი მსაჯული, მაშასადამე მისი სიტყვა ყველასთვისაა. არავის გავუტოლებ იესოს, არ ავურევ იესოს სიტყვებს ბუდას სიტყვებში, არ მივდევ გამოჩენილი ადამიანების სხვა დოგმებს. შენა ხარ, იესო ჩემი ერთადერთი მეფე!

27 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

2017 ორშაბათი

დან 1,1-6.8-20; საგ.: დან 3,52-56; ლკ 21,1-4

დაინახა აგრეთვე ერთი ქალი,
რომელმაც ორი ლეპტა ჩააგდო ლკ 21,2

იესოს მზერას არაფერი გამოეპარება. ის ხედავს სილამაზეს და თავის მეგობრებს უჩვენებს მას. ერთ ღატაკ ქალს არაფერი აბადია, არადა დიდი რამის სწავლება შეუძლია ყველასთვის. ამჯერად შევისწავლოთ, როგორ გვმართებს მამისადმი ნდობა. და ეს ნდობაა სწორედ ადამიანის ნამდვილი სიმდიდრე!

სამშაბათი

დან 2,31-45; საგ.: დან 3,57-61; ლკ 21,5-11

ცათა მეფე დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა

დან 2,44

შეჩვეულნი ვართ სამეფოთა გაჩენასა და გაქრობას: არცერთი მთავრობა არ გვაძლევს იმედის მიზეზს, რადგან არცერთ მათგანს არ გააჩნია სტაბილურობა. სტაბილურია მხოლოდ ის, ვინც კლდეს ეყრდნობა, ცოცხალი ღმერთის რწმენას; ვინც ემორჩილება მის მცნებებს. დადგება დაურღვეველი სამეფო, სადაც იესო იმეფებს: მსურს ახლავე გავხდე მისი წევრი, ამისათვის ვეძებ მის სიტყვასა და მის სწავლებას.

29 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

2017 ოთხშაბათი

დან 5,1-6.13-14.16-17.23-28; საგ.: დან 3,62-67; ლკ 21,12-19

თქვენი გამძლეობით იხსნით თქვენს სიცოცხლეს ლკ 21,19

ჩვენი ცხოვრება ის როდია, რამდენიმე წელიწადში რომ დასრულდება, არამედ ის, რომელიც ღმერთმა ინება ჩვენთვის, რათა ვყოლოდით თავისთან მარადისობაში. ისაა სიცოცხლე, რომლის გადასარჩენადაც ვზრუნავთ. ვიხსნით მას ძისადმი ერთგულებით, მის სიტყვაზე ჩაჭიდებით, მისი პურით საზრდოობით, მისი სულის მიღებით. დაგვცინებენ? გაგვრიყავენ? ხელს შეგვიშლიან სამუშაოში? რთული ცხოვრება გვექნება, თუმცა ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გავძლოთ.

30 ნოემბერი

2017 ხუთშაბათი

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ გობრონი და 133 მხედარი, +914

რომ 10,9–18; ფს 18; მთ 4,18–22

ახალხიზის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენგან მოსმენილი? რომ 10,16

„ყველას არ უერთგულია სახარებისათვის“ ამბობს მოციქული. მართლაც, წინასწარმეტყველმა თქვა: *„უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენგან მოსმენილი?“*. ჩვენ ვბაძავთ წმიდა ანდირას, რომელმაც ჯერ იოანე ნათლისმცემლის სიტყვა ისმინა, შემდეგ კი იესოსი, რის შემდეგაც გახდა იმ სიტყვის მაუწყებელი, რომ-ლისგანაც თავად ჰქონდა მიღებული სიცოცხლე, სი-ხარული და ძალა. იგი დღეს ლოცულობს სრულიად ეკლესიისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთში, რათა განავრცოს ადამიანთა დამხსნელი სიტყვა და იაროს სულ უფრო მეტი ერთობისაკენ.